

განმარტებითი ბარათი
„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში
ცვლილების შეტანის შესახებ“
საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის შემუშავებით, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით განხორციელების შემოღებას 2010 წლის 1 დეკემბრიდან ნაცვლად 2010 წლის 1 სექტემბრისა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის შემუშავება მიზნად ისახავს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 116-ე მუხლის მე-6 ნაწილის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას, რაც განპირობებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის შემუშავებით, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით განხორციელების შემოღებას 2010 წლის 1 დეკემბრიდან ნაცვლად 2010 წლის 1 სექტემბრისა. შესაბამისად საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 116-ე მუხლის მე-6 ნაწილში ნაცვლად 2010 წლის 1 სექტემბრისა, მიეთითება 2010 წლის 1 დეკემბერი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რაიმე დამატებითი ხარჯების წარმოშობას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე
კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე
კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები
კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ

ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება ასეთი არ არსებობს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)
კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში
კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე, ზვიად კუკავა

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე, ზვიად კუკავა